

06/04/2026



MES 4 26 0000410222

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 30 მარტს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting <https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=84492175075>
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

- ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
- ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
- ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
- გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
- ხათუნა ცერცვაძე** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
- დავით ჯინჭარაძე** – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
- გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
- გოგიტა მშვენიერაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

- ნანი დალაქიშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან ჭუჭულაშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სოფიკო ბეჭირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვერიკო ჭილაძე

ქეთევან ღვანიძე

ნანა ხითარიშვილი

მაია ხურცილავა

დავით კუპატაძე

ალექსანდრე კეკენაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

კოლეჯის დირექტორი – გიორგი გოგიტიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი – ეკა ბარამიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი – ანა კეკელიძე

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

დირექტორი – დავით მჭედლიშვილი

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

აკადემიის დირექტორი – იოსებ აბესაძე

აკადემიის დირექტორის მოადგილე – ზვიად არძენაძე

აკადემიის ხელმძღვანელი – ბექარ კილასონია

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი – ნინო ვასაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957774 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ – კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 2 სექტემბრის №1052600 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. „სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №923923 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბულალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს მიმართა დღის წესრიგიდან პირველი საკითხის ამოღების შესახებ. აღნიშნული საკითხი შეეხებოდა „სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს №957774 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვას. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ გადაწყვეტილებაში შესატანი ცვლილება პირდაპირ გამომდინარეობს მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების დასკვნიდან. შესაბამისად, ლოგიკური თანმიმდევრულობის დაცვისა და ტექნიკური დეტალების დაზუსტების მიზნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის განხილვა 2026 წლის 7 აპრილის სხდომაზე, მონიტორინგის წარმოების დასრულების საკითხთან ერთობლიობაში. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგიდან საკითხის ამოღება წინასწარ იქნა შეთანხმებული საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას, დღის წესრიგიდან პირველი საკითხის ამოღების თაობაზე.

განახლებული დღის წესრიგი:

1. „სსიპ – კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 2 სექტემბრის №1052600 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №923923 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: „სსიპ – კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 2 სექტემბრის №1052600 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) შემოვიდა სსიპ კოლეჯი ბლექსის N152137 – 12/02/2026, N170682 – 16/02/2026 და N294318 – 10/03/2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „**ელექტრობის**“ და „**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის**“ პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები:

პროგრამის სახელწოდება – „**ელექტრობა**“.

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66** კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი.

აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებული მიდგომით**.

პროგრამის განხორციელების ადგილები: ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვის ქუჩა N92ა; დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქN8.

პროგრამის სახელწოდება – „**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა**“

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **55** კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **70** კრედიტი.

აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებული მიდგომით**.

პროგრამის განხორციელების ადგილები: ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვის ქუჩა N92ა; ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, წერეთლის ქ. №4.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, პროგრამების შეცვლამდე არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის განხორციელდება შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

აღნიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N1052600- 02/09/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ – კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 2 სექტემბრის №1052600 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ცვლილება განხორციელდეს „სსიპ – კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 2 სექტემბრის №1052600 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტრობა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

მეორე საკითხი: „სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №923923 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ N110863 – 04/02/2026, N175159 – 17/02/2026 და N206668 – 23/02.2026 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტრობისა“ და „იატაკისა და ფილების სამუშაოების“ პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები:

პროგრამის სახელწოდება – **"ელექტრობა"**

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66** კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი.

აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებული მიდგომით**.

პროგრამის განხორციელების ადგილები: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154; დაბა ხულო, მ.შავაძის №3.

პროგრამის სახელწოდება – "იატაკისა და ფილების სამუშაოები"

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი.

კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **96** კრედიტი.

აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს **იმიტირებული მიდგომით**.

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №923923 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №923923 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ელექტრობა" და "იატაკისა და ფილების სამუშაოები" პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**).

მესამე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს, ჰქონდა თვითაცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 31 იანვრის 95995 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა ვიზიტის დღის წესრიგი და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტი განხორციელდა ბრძანების შესაბამისად შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში 2026 წლის 9 თებერვალს (მის: ქ.თბილისი, თრიალეთის ქ. №50).

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ (კოდი 0112) არის მეხუთე დონის და იგი მიზნად ისახავს სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის განხორციელების ადგილია ქალაქი თბილისი, თრიალეთის ქუჩა №50-ში მდებარე სასწავლო კორპუსი. სწავლება დაფუძნებულია კოოპერაციულ მოდელზე, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის აკადემიაში მიღებას და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას რეალურ სამუშაო გარემოში – პარტნიორ საბავშვო ბაგა-ბაღებში. პროგრამის მოცულობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის – 146 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 238 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ, რაც დასაბუთებულია არსებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გადანაწილებით ორცვლიანი სწავლების პირობებში.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს. აკადემიაში მოწყობილია ხუთი A სასწავლო გარემო (აუდიტორიები №108, №109, №214, №305 და №310), რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ინვენტარით, სადემონსტრაციო საშუალებებითა და დაფებით. აღნიშნული გარემოები ჯამში 119 სტუდენტს იტევს, რაც ორ ცვლაში მუშაობისას 238 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, პროგრამისათვის გამოყოფილია ორი B სასწავლო გარემო (აუდიტორიები №213 და №311), რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და პრინტერებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აუდიტორიების დატვირთვის განრიგი და დაადასტურა, რომ სხვა პროგრამებთან („კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“) რესურსების გაზიარება ხდება გააზრებულად, რაც არ უშლის ხელს „აღმზრდელის“ პროგრამის მოდულების ჯეროვან განხორციელებას.

ასევე, გამოყოფილია ორი B გარემო (აუდიტორიები №213 და №311), რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერებითა და სხვა საჭირო ინვენტარით 60 სტუდენტისთვის, რაც ორ ცვლაში 120 ადამიანზეა გათვლილი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული ფართების დატვირთვის გრაფიკი, რადგან მათ პარალელურად იყენებენ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამები. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით, მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 2“ დაწყებისას, სხვა პროგრამების ზოგადი მოდულების სწავლება გადაინაცვლებს A გარემოებში, რითაც თავისუფლდება B გარემო „აღმზრდელის“ პროგრამის სტუდენტებისთვის, რაც დადასტურდა ცხრილებისა და სასწავლო გეგმების ანალიზით.

პრაქტიკული კომპონენტის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების მიზნით, გაფორმებულია უვადო ხელშეკრულებები სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან: ა(ა)იპ „ქ. თბილისის №64 საბავშვო ბაგა-ბაღთან“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის №116 საბავშვო ბაგა-ბაღის“ ორ ფილიალთან. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტები ჯამურად უზრუნველყოფენ სტუდენტთა საჭირო რაოდენობის მიღებას ორ ცვლაში, რაც სრულად ფარავს მოთხოვნილ კვოტას. მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია ორი მნიშვნელოვანი მოდულის – „გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ – სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი და გააზრებული ფინანსური მოდელი. სასწავლო პროცესში ჩართულია 30 დარგობრივი და 16 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი, რომელთა კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. პერსონალის დატვირთვა მკაცრად რეგულირდება და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის სტაბილურობას. პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის ადაპტირებისა და რესურსების მობილიზების პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 11 სტუდენტის პირობებში, რაც იძლევა საოპერაციო ხარჯების სრულად დაფარვისა და განვითარების გარანტიას.

აკადემიაში დანერგილია საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სისტემა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერითა და სამკითხველო სივრცით, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მოდულებით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებს: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს მასალების ადაპტირებას, ტექსტების გამარტივებასა და ვიზუალური აღქმის გაძლიერებას ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამა „აღმზრდელი“ და მისი განხორციელების რესურსები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა კვოტის გაზრდის საფუძვლებით. კერძოდ, მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამ განაპირობა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 144-დან 238-მდე გაზრდის საჭიროება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ვასაძემ, განმარტა, რომ აკადემია პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში ახალია, თუმცა ოპერირების პირველივე წელს შეძლო 125 სტუდენტის მიღება (აქედან 5 სტუდენტმა შემდგომში შეიცვალა სტატუსი მობილობის გზით). მისი განმარტებით, პროგრამაზე მოთხოვნა მაღალია, რაც დასტურდება ბაზრის კვლევითა და სკოლამდელი აღზრდის სექტორში მიმდინარე ავტორიზაციის პროცესებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, მაქსიმალურად აეთვისებინა საკუთარი რესურსი და გაეზარდა მისაღები კონტინენტი.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე დაუსვა კითხვა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა პირისპირ გასაუბრებოდა მიმდინარე სტუდენტებს მათი კმაყოფილებისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის დასადგენად. ექსპერტმა, ვერიკო ჭილაძემ, აღნიშნა, რომ მოცემული სტანდარტის ფარგლებში სტუდენტებთან გასაუბრება არ განხორციელებულა, ვინაიდან ამის პროცედურული მოთხოვნა არ არსებობდა. მან აღნიშნა, რომ ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 238 – ით **(დანართი 3)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 30 მარტი.

მეოთხე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "კომპიუტერული ქსელის და სისტემების" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს, ჰქონდა თვითაცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 31 იანვრის 95996 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 09 თებერვალს განხორციელა ვიზიტი შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში, (მის: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. თავისუფალი ხედვის აკადემიამ 2025 წლის 30 დეკემბერს ცენტრს მიმართა განაცხადით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მაღალი მომართვიანობის გამო. დაწესებულება 2025 წლიდან ახორციელებს „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ პროგრამას

მისამართზე – ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50. პროგრამაზე კონტიგენტის გაზრდის მიზნებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყო სასწავლო ფართის (ოთახის) გაფართოება, რის საფუძველზედაც სურს პროფესიულ პროგრამაზე არსებული (40 პროფესიული სტუდენტი) კვოტის გაზრდა 24 პროფესიული სტუდენტით, სულ 64 პროფესიული სტუდენტი იმიტირებული სწავლების ფორმით. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. 2026 წლის 4 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 9 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი თავისუფალი ხედვის აკადემიაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციებს, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა არსებული კვოტის გაზრდა 24 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 64 პროფესიულ სტუდენტზე. ადგილზე, ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ B სასწავლო გარემოში (ოთახი 213) განთავსებული 28 პერსონალური კომპიუტერი, ვერ უზრუნველყოფს 64 პროფესიული სტუდენტის გატარებას, შესაბამისად ექსპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვოტის გაზრდას 24 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა შეფასებით ამ ეტაპზე ლოგიკურია კვოტის გაზრდა 16 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 56 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (კოდი 0612) წარმოადგენს მეოთხე საფეხურის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის განხორციელების ადგილია ქალაქი თბილისი, თრიალეთის ქუჩა №50, სადაც სწავლება იმიტირებულ გარემოში მიმდინარეობს. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 87 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 117 კრედიტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 64 პირამდე გაზრდის შესახებ. დეტალური ანალიზის საფუძველზე, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს კვოტის განსაზღვრა 56 სტუდენტით, რაც განპირობებულია არსებული მატერიალური რესურსის რეალური გამტარუნარიანობით ორცვლიანი სწავლების პირობებში.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი „A“ ტიპის სასწავლო გარემო (ოთახები №109 და №214) და ერთი კომბინირებული „A/B“ სასწავლო გარემო (ოთახი №213). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ №213 აუდიტორიაში განთავსებული 28 პერსონალური კომპიუტერი ფიზიკურად ვერ უზრუნველყოფს 64 სტუდენტის ერთდროულ გატარებას. შესაბამისად, ექსპერტების დასკვნით, პროგრამის ხარისხიანი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ 56 სტუდენტის პირობებში, რაც გულისხმობს ორი ჯგუფის მიღებას ორ სხვადასხვა ცვლაში. აღნიშნული ინფრასტრუქტურა

აღჭურვილია საჭირო ტექნიკით, მათ შორის მონიტორებით, მინი კომპიუტერებითა და პრინტერებით, რაც აუცილებელია კომპიუტერული მანიპულაციების, მათ შორის ტექნიკის დაშლა-აწყობის უნარების ასათვისებლად.

პროგრამის ადამიანური რესურსის კომპონენტი სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. სასწავლო პროცესში ჩართულია სულ 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 9 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება, ხოლო 8 – ზოგად მოდულებს. თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას და გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას. პერსონალის სამუშაო დატვირთვა მკაცრად რეგულირდება შრომის კოდექსის შესაბამისად და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტებმა პირადი საქმეების შესწავლითა და ინტერვიუების გზით დაადასტურეს, რომ მასწავლებლები ფლობენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო პედაგოგიურ და დარგობრივ კომპეტენციებს.

პროგრამის ადმინისტრირებასა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აკადემიის დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული კატალოგით სარგებლობა სტუდენტებს დაწესებულების გარე სივრციდანაც შეუძლიათ, რაც ზრდის სწავლის პროცესის მოქნილობას. ბიბლიოთეკა დამატებით აღჭურვილია სამკითხველო სივრცით, კომპიუტერული ტექნიკითა და ასლგადამღები საშუალებებით, რაც სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურებული ინფორმაციით, აქტიურად და შეუფერხებლად გამოიყენება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ და შშმ პირთა მხარდაჭერის დეტალური წესი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო მასალების ადაპტირებას სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის ტექსტის გადიდებას, აუდიო ვერსიებსა და ბრაილის შრიფტს. პროგრამის ფინანსური მოდელი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 სტუდენტით. ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ საოპერაციო ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა ანაზღაურებასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას.

პრევენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს პრევენტაციის წარმოდგენისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის შეუსაბამობის თაობაზე. კერძოდ, თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა სხვაობა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ და ფაქტობრივ შესაძლებლობებს შორის.

აღნიშნულ საკითხი განმარტა ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას თავდაპირველად გათვლილი ჰქონდა შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილები, თუმცა დარგის ექსპერტის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა სივრცის რეორგანიზაცია. ექსპერტის განმარტებით, ვინაიდან პროგრამა სპეციფიკურია და მოითხოვს პრაქტიკულ მანიპულაციებს (კომპიუტერული ტექნიკის დაშლა-აწყობა), აუცილებელი იყო დამატებითი თავისუფალი ფართის გამოთავისუფლება. ამ მიზნით, ერთი ოთხკაციანი მაგიდა იქნა გატანილი, რამაც გამოიწვია სტუდენტთა რაოდენობის კორექტირება. დავით კუპატაძემ ხაზი გაუსვა, რომ ეს ცვლილება ემსახურებოდა სასწავლო შედეგების უკეთ მიღწევას და არა დაწესებულების მხრიდან არასწორ გათვლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ვასაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ თავდაპირველად პროგრამას ჰქონდა დამოუკიდებელი A და C გარემოები, თუმცა ახალი პროგრამების (კერძოდ,

„აღმზრდელის“) დამატების გამო, მოხდა რესურსების გადანაწილება. ამჟამად დაწესებულება იყენებს საერთო A-B გარემოს, რომლის ექსპლუატაციაც ხდება სხვადასხვა პროგრამებს შორის (აღმზრდელი, ბუღალტერია, კომპიუტერული ქსელები) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მონაცვლეობითი გრაფიკით. ნინო ვასაძემ დაადასტურა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და მიიჩნევს, რომ 56 პროფესიული სტუდენტი არის ოპტიმალური მაჩვენებელი მოცემული ფართისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 56-ით (**დანართი 4**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 30 მარტი.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე.

მეხუთე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

საბჭოს თავმჯდომარეს, ელენე კაკაბაძეს, ჰქონდა თვითაცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ხითარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 31 იანვრის № 96002 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 9 თებერვალს, მისამართზე: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა პოზიციები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტის დროს, სრულყოფილი შეფასების მიზნით, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ასევე, დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და არსებული მატერიალური რესურსები.

აღინიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა და განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტ. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №01/12 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც 06.02.2026–02.08.2026 პერიოდში დაგეგმილია 32 ერთეული კომპიუტერის შეძენა და აუდიტორია №312-ის სრულად მოწყობა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება და

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შექმნა დადგენილ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 2 აგვისტოსი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ (კოდი 0411) წარმოადგენს მეხუთე საფეხურის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამის განხორციელების ადგილია ქალაქი თბილისი, თრიალეთის ქუჩა №50, სადაც სწავლება იმიტირებულ გარემოში მიმდინარეობს. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 99 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 129 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 128 პირამდე გაზრდის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთებულია პროგრამის მიმართ არსებული მაღალი ინტერესით – რეგისტრაციისას დაფიქსირებული 189 აპლიკანტით – და შრომის ბაზარზე კვალიფიციურ ბუღალტრებზე მზარდი მოთხოვნით, რაც 2024 წლის შრომის ბაზრის ანალიზითაც დასტურდება.

